„დამტკიცებულია“

საქართველოს მთავრობის 201..წლის .....
№..... დადგენილებით

სანიტარიულ–გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გეგმა კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში

მუხლი 1. არსებული მდგომარეობა სანიტარიული დაცვის ზონებში

1. სურამის საკურორტო ზონაში არ არსებობს ერთიანი წყალმომარაგების სისტემა. წყლით მოსარგებლენი არიან ადგილობრივი მოსახლეობა, დამსვენებლები, დასასვენებელი სახლები, სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვა;
2. საკურორტო ზონის წყალმომარაგება ხორციელდება რამდენიმე წყალამღებიდან;
3. სოფ. ცხრამუხის წყალამღებით სარგებლობს დ. სურამის 60–70% მოსახლეობა;
4. ინდივიდუალურად გაყვანილი ჭებით სარგებლობს მოსახლეობის 30–40%;
5. მდ. სურამულას წყალამღებით სარგებლობს დ. სურამის უბნები–იტრია და ჩუმათელეთი;
6. მდ. სურამულას წყალამღები დაზიანებულია და მოსახლეობას მიეწოდება სასმელად გამოუსადეგარი წყალი;
7. დ. სურამის უბნების (გვერდისუბანი, ბაიანთხევი) წყალმომარაგება ხორციელდება მოსახლეობის მიერ ინდივიდუალურად და ჯგუფურად მთიდან გამოყვანილი წყაროებით;
8. ბიჯნისში ამჟამად მიმდინარეობს წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარის და წყლის მიმწოდებელი მაგისტრალის მშენებლობა, რომლის დასრულების შემდეგ ხარისხიანი სასმელი წყლით სრულად იქნება უზრუნველყოფილი სოფლები ბიჯნისი, ზეკოტა, ურთხვა და დ. სურამის უბანი ბუღაურა;
9. უბან ბუღაურაში არსებული წყაროს წყლით („დათვის წყარო“) სარგებლობს საკურორტო ზონის მოსახლეობა და დამსვენებლები. აღნიშნული წყარო კი დაბინძურებულია მიკრობიოლოგიურად;
10. სოფ. სოფ. დიდი და პატარა ბეკამის ავტონომიური წყალმომარაგება ხორციელდება წყაროების ხარჯზე;
11. ბიჯნისში, ბუღაურაში, ზინდისში, ბაიანთხევში, იტრიაში და ჩუმათელეთში მოსახლეობის ნაწილს ჯგუფურად წყალი გამოყვანილი აქვთ სხვადასხვა წყაროებიდან;

12. მონიტორინგით დადგინდა, რომ საკურორტო ზონაში სასმელად და სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენებულია აგრეთვე ინდივიდუალურად მოწყობილი ჭების და ჭაბურღილების წყლები;
13. ჭებისა და ჭაბურღილების უმეტესობა გაყვანილია ჰიგიენური ნორმების დარღვევით;
14. ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა არსებობს სურამის, გვერდისუბნის, ზინდისის და ბაიანთხევის ცენტრალურ ქუჩებზე და იტრიისა და ჩუმათელეთის ერთ უბანში;
15. წყლის დეფიციტის გამო ბაიანთხევში კანალიზაცია შეფერხებით მუშაობს;
16. ცენტრალური კანალიზაცია არ არსებობს კაკალათხევში, იტრიისა და ჩუმათელეთის დიდ ნაწილში, ბუღაურაში, სოფ.სოფ. ზეკოტა, ურთხვა, ბიჯნისი და დიდი და პატარა ბეკამში;
17. ჩუმათელეთში თამარ მეფის ქუჩის სანიაღვრე გადაქცეულია ღია საკანალიზაციო არხად;
18. მდ. სურამულას გასწვრივ არსებული მოსახლეობის და საზ. კვების ობიექტების კანალიზაცია ჩაედიმება მდინარეში.
19. სანიაღვრე არხები მოსაწყობია ქუჩების 30–40%.
20. კურორტის საკანალიზაციო სისტემას არ გააჩნია გამწმენდი ნაგებობა;
21. ამოთხრილ ორმოებზე მოწყობილი ტუალეტები გრუნტის წყლებს დაბინძურების საშიშროებას უქმნის.
22. კურორტის ტერიტორიას აბინძურებს გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა, დამსვენებლები და მოსახლეობა.
23. ჩუმათელეთის მიმდებარე ტყის მასივი ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლების მიერ გადაქცეულია ნაგვის საყრელად.
24. კაკალათხევის, იტრიის და ჩუმათელეთის ტერიტორიისა და ჰაერის დამაბინძურებელია ცენტრალური ავტომაგისტრალი (თბილისი–სენაკი).
25. მდ. სურამულას დამაბინძურებელია ადგილობრივი მოსახლეობა და საზოგადოებრივი კვების ობიექტები.
26. ხმაურის დონე ზღვრულ დასაშვებ ნორმაზე მეტია იტრიაში და ჩულათელეთში, რაც გამოწვეულია ცენტრალური ავტომაგისტრალით.
27. №1 წყაროს (რკინის წყალი) შემკრები რეზერვუარი (განლაგებული კერძო მოსახლის ეზოში) უცხო პირთაგან დაუცველია.

საკურორტო– ტურისტული ბიზნესის განვითარების მთავარ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

მუხლი 2. სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გეგმა, რომელთა გატარება აუცილებელია სურამის საკურორტო ზონაში

№№ რიგზე	სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები	შემსრულებელი	შესრულების ვადა
	I ზონა		
1.	შემოიღობოს №98 ჭაბურღილის სანიტარიული დაცვის I ზონა	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2020წ
2.	მოხდეს №98 ჭაბურღილის სათავის მოწყობა	სავარაუდო ლიცენზიანტი	2020–21წ.წ.
3.	№98 ჭაბურღილის სათავის დსაცავად მოხდეს კაპტაჟზედა ნაგებობის მოწყობა.	ხაშურის მუნიციპალიტეტი და სავარაუდო ლიცენზიანტი	
4.	შემოიღობოს №1 და №2 წყაროების („რკინის წყალი“) სანიტარიული დაცვის I ზონა	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2020წ.
5.	№1 წყაროს კაპტაჟი მოეწყოს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2020წ.
6.	ლიკვიდირებული იქნას კერძო მოსახლის ეზოში №1 წყაროს შემკრები რეზერვუარი	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2019-2020 წ. წ.
7.	№ 2 წყაროს კაპტაჟზე მოეწყოს დამცავი კარები	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სავარაუდო ლიცენზიანტი	2019-2020 წ. წ.
8.	ჩატარედეს №1 და №2 წყაროებისა და მათი ბიუბეტებიდან წყლების მიკრობიოლოგიური ანალიზები		სისტემატიური
	II ზონა		
1.	მოხდეს მდ. სურამულას წყალამღების მოწყობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2020–21წ.წ.
2.	მოხდეს ბუღაურაში „დათვის წყაროს“ დაბინძურების კერის აღმოჩენა და ლიკვიდაცია	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2020 წ.
3.	მოხდეს კაკალათხევში, იტრიისა და ჩუმათელეთის დიდ ნაწილში, ბუღაურაში, სოფ.სოფ. ზეკოტა, ურთხვა, ბიჯნისი და დიდი და პატარა ბეკამში საკანალიზაციო სისტემების მოწყობა	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2020–2025წ.წ.

4.	სანიაღვრე არხების მოწყობა ქუჩების დარჩენილ ნაწილზე	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2020–2025 წ.წ.
10.	რეგულარულად დასუფთავდეს ფიჭვნარისა და ტყე–პარკების ტერიტორია	ხაშურის მუნიციპალიტეტი	მუდმივად
11.	საკურორტო ზონაში განხორციელდეს სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი	ხაშურის მუნიციპალიტეტი	მუდმივად
12.	მოხდეს ზონის ფარგლებში არსებული დანგრეული და მიტოვებული შენობა–ნაგებობების რეაბილიტაცია და გამოყენებული იქნას საკურორტო დანიშნულებით	ხაშურის მუნიციპალიტეტი	
13.	მოხდეს მდ. სურამულას კალაპოტის გაწმენდა და ნაპირების გამაგრება.	ხაშურის მუნიციპალიტეტი	
14.	ავტომატური და ფიჭური საბაზო სადგურების დამონტაჟების დროს გათვალისწინებული იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 16.08.01 წ.ბრძანებით დამტკიცებული რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრული გამოსხივების სანიტარიული წესებისა და ნორმების:2.2.4–2.1.8.001–01 მოთხოვნები.	დაინტერესებული იურიდიული ან ფ/პ	საჭიროების შემთხვევაში
15.	განხორციელდეს რადიაციული მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავს ტრიტორიის გამა ფონის შესწავლას და შესაძლო უკონტროლო რადიოაქტიური წყაროების მოძებნას	ხაშურის მუნიციპალიტეტი	მუდმივად
16.	II ზონის საზღვრები დაფიქსირდეს სასაზღვრო ნიშნულებით	ხაშურის მუნიციპალიტეტი	მუდმივად
	III ზონა		
1.	შენარჩუნებული იქნას არსებული ბუნებრივი პირობები მდ. სურამულას ხეობებში, რათა არ დაირღვას ეკოლოგიური პირობები	ხაშურის მუნიციპალიტეტი	მუდმივად
2.	ჩატარდეს ტყის მასივების მოვლითი (სანიტარიული) ჭრა და შეწამვლა	ხაშურის მუნიციპალიტეტი	სისტემატიურად

3.	ჩატარდეს ტერიტორიის შემოვლა და არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე დაკვირვებები	ხაშურის მუნიციპალიტეტი	პერიოდულად
4.	III ზონის საზღვრები დაფიქსირდეს სასაზღვრო ნიშნულებით	ხაშურის მუნიციპალიტეტი	

მუხლი 3. სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ( ) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ( ).